ექიმების პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში

შმაგი ნადირაძე

ჯგუფი N8

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში

სამაგისტრო პროგრამა „სადაზღვეო საქმე“

პროექტის ხელმძღვანელი:

ლიკა ძაგნიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შმაგი ნადირაძე

თარიღი: 20/06/2016

პრობლემა და კონტექსტი

ევროპაში, პრაქტიკულად არ არსებობს პროფესია, რომელსაც არ აქვს პასუხისმგებლობის დაზღვევა. მითუმეტეს ეს ეხება ისეთ პროფესიებს, რომელთაც კავშირი აქვთ ადამიანის ჯამრთელობასთან. საქართველოში ეს მიდგომა ახლა იკიდებს ფეხს. ასეც უნდა იყოს. ვითარდება ქვეყანა, ვითარდება სხვადასხვა ეკონომიკური სფეროები, იზრდება სამუშაო ადგილები და ამასთანავე იზრდება პროფესიული შეცდომებიც, რომელიც უმრავი ნეგატიური მიზეზების გამომწვევი შეიძლება გახდეს. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ბოლო დროინდელი შემთხვევები, როდესაც პაციენტები ექიმებს არასწორი მკურნალობის გამო უჩივიან და ეს დავა ხშირად სასამართლომდეც მიდის. შეცდომებისაგან დაზღვეული არავინაა, ამიტომაც უნდა შევძლოთ რისკების მართვა და დაზარალებულს მიყენებული ზიანი დროულად უნდა აუნაზღაურდეს. ამისათვის საჭიროა პროფსიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, კონკრეტულად ამ შემთხვევისთვის ექიმების პასუხისმგებლობის დაზღვევა. საქართველოში ეს მიმართულება ახლა იკიდებს ფეხს. დღესდღეობით არსებული თოთხმეტი სადაზღვეო კომპანიიდან ექვსი მათგანი სთავაზობს ექიმებს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას. ესენია: „არდი ჯგუფი“, „ ჯი პი აი ჰლდინგი“, „ალდაგი ბი სი აი“, „უნისონოი“ „სტანდარტ დაზღვევა საქართველო,“ და „უნისონი.“ ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ ყველაზე მოთხოვნადი, აღნიშნული ტიპის დაზღვევა, ქირურგების მხრიდანაა. ყველაზე პოპულარული მზღვეველები არდი ჯგუფი და ჯი პი აი ჰოლდინგია. ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია გავხადოთ ექიმების პასუხისმგებლობის დაზღვევა პოპულარული ექიმებში, რათა შემთხვევის დადგომისას დაიცვან თავიანთი თავი და პაციენტი მაღალი ფინანსური ზარალისაგან.

საძიებო სიტყვები: პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, დაზღვევის თავისებრებები, მედიაციის სამსახური.